საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/256
20/01/2023

256-21-2-202301201817

ი/მ "სერგო ჯოჯიშვილს"
მის: ქ. კასპი, ჭავჭავაძის ქუჩა N35
ელ. ფოსტა: vipjojishvili@mail.ru

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7129 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. კასპში, ჭავჭავაძის ქუჩა N35-ში პლასტმასის ნაკეთობების წარმოების და პლასტმასის ნარჩენების აღდგენის (გადამამუშავებელი) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- პროექტში მოცემული უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია დასამუშავებლად მისაღები ნარჩენების კოდის და დასახელების შესახებ „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების შესაბამისად. ასევე, პროექტში წარმოდგენილი უნდა იქნას ნარჩენების აღდგენის კოდი „ნარჩენების მართვის კოდექსის“ დანართი I - ის შესაბამისად;
- სკრინინგის ანგარიშში (გვ. 8), პოლიმერული მტვრის წლიური გაფრქვევის ანგარიშისას მიღებული შედეგი არ ემთხვევა წარმოდგენილი რიცხვების გამოთვლის შედეგად მიღებულ მნიშვნელობას $G_{\text{პოლ.მტვერი.}}$=0,12*3600*3000/106=1,278. ტ/წ;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ წარმადობის გაზრდა გამოიწვევს ჩამდინარე წყლების რაოდენობის გაზრდას, თუმცა არ არის წარმოდგენილი მისი რაოდენობა. ამასთან საწარმოში დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს ასაღები წყლის რაოდენობა;
- სკრინინგის განცხადებაში, ცხრილი N2-ში მოცემულია იმ დანადგარების რაოდენობა, რომლებიც განთავსებული იქნება საამქროებში. ცხრილში, საამქრო N3–ში მოცემულია 3 კგ/სთ წარმადობის თერმოპლასტავტომატი, თუმცა წარმოდგენილი არ არის აღნიშნული დანადგარის რაოდენობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული

შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო